ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
N02/01/23 - 64

ქ. თბილისი 20 თებერვალი, 2023 წელი

ერთი მხრივ, **სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო** (შემდგომ - შემსყიდველი) წარმოდგენილი ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) დირექტორის, **გიორგი ჯიჯეიშვილის** სახით და მეორე მხრივ, **სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო** (შემდგომ - მიმწოდებელი), წარმოდგენილი თავმჯდომარის, **დავით ნადირაშვილის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ” ქვეპუნქტისა და "საკომუნიკაციო მომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის N1805 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1. **ხელშეკრულება -** შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული, მხარეთა მიერ ხელმოწერილი, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულება, მისი ყველა დანართით და დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;
1.2. **ხელშეკრულების ღირებულება** - მომსახურების საერთო ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეული ყველა ხარჯის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადების ჩათვლით, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნადშესრულებისათვის.
1.3. **შემსყიდველი** - ორგანიზაცია (შემდგომ - შემსყიდველი) (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.4 **მიმწოდებელი** - პირი, რომელიც აწვდის შესყიდვის ობიექტს წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.5 **„დღე”, „კვირა”, „თვე”** - კალენდარულ დღე, კვირა, თვე.
2. ამ ხელშეკრულებაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა რაც მოცემულია შესაბამის კანონმდებლობაში.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომ - სააგენტო) N1 დანართით გათვალისწინებულ მისამართებზე ქსელური ურთიერთჩართვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.
2.2 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: CPV – 72400000.
2.3 მომსახურების ტექნიკური პირობები და ფასი განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების N1-N2 დანართების შესაბამისად.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 112,500.00 ლარს;
3.2. ერთი თვის მომსახურების ღირებულება შეადგენს 11,250.00 ლარს;
3.3. დაფინანსების წყარო: საკუთარი შემოსავლები;

3.4. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებსა (მათ შორის დღგ) და გადასახდელებს.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2023 წლის 01 მარტიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
4.2. მომსახურების გაწევის ადგილია N1 დანართით განსაზღვრული მისამართები.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულების N1 და N2 დანართებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;
გ) უზრუნველყოს ქსელური ჩართვის გამართული მუშაობა;
დ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას და შეუფერხებლად მიაწოდოს ინსპექტირების განმახორციელებელ ჯგუფს ყველა საჭირო დოკუმენტაცია/მასალა;
ე) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს თავისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან/და ლიკვიდაციის შესახებ;
ვ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოახდინოს მომსახურების შეზღუდვა იმ შემთხვევაში თუ:
ა.ა) არსებობს ფორს-მაჟორული გარემოებები;
ა.ბ) არსებობს ტექნიკური გაუმართაობა და წარმოებს პროფილაქტიკური სამუშაოები, რომლის შესახებ 2 (ორი) დღით ადრე უნდა შეატყობინოს შემსყიდველს.
ა.გ) ა.ა. ან/და ა.ბ ქვეპუნტებით განსაზღვრული ვითარების დადგომის შემთხვევაში შეზღუდული მომსახურების აღდგენა განახორციელოს შეზღუდვის მიზეზის აღმოფხვრისთანავე;
ბ) მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.
6.3. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
ბ) შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ფორმით;
გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
6.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

6.5. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის მიმწოდებლის ელექტრონული ფოსტის მისამართი: noc@justice.gov.ge; შემსყიდველის ელექტრონული ფოსტის მისამართი: servicedesk@sda.gov.ge მეშვეობით აწარმოონ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველის მხრიდან შესყიდვების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის თანამშრომელი, ხოლო ხელშეკრულების პირობების შესრულებას ინსპექტირებას გაუწევს შესყიდვების სამსახურის თანამშრომელი.
7.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას ეტაპობრივად გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი (ყოველი კალენდარული თვის მომსახურების დასრულების შემდგომ), სადაც დაფიქსირდება მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების შესრულების შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან.
7.3. ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია მხოლოდ საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი ნებისმიერ დროს და შეადგინოს ინსპექტირების აქტი, სადაც დაფიქსირდება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსაბამობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან.
7.4. ყველა გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ეკისრება მიმწოდებელს.
7.5. შესყიდვის ობიექტის შემოწმების პროცესში, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული აღმოფხვრას ხარვეზის არსებობის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ N1 დანართით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
7.6. მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს მომხმარებლებთან ურთიერთობის მენეჯერი ბერდია ჩოხელი (მობ: 591034858, ელ-ფოსტა - bchokheli@dga.gov.ge).
7.7. ხელშეკრულების 7.1 და 7.6 პუნქტში მითითებული სამსახურები/პირები ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ერთმანეთს დაუყოვნებლივ აცნობებენ ინსპექტირების ჩატარების უფლების მქონე პირთა უფლებამოსილების შეწყვეტის ან/და ცვლილების შესახებ.

მუხლი 8. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიწოდების შესახებ მიღება-ჩაბარება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფის მონაწილეობით, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებით, სადაც მიეთითება მიწოდებული შესყიდვის ობიექტის დასახელება, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება.

მუხლი 9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში), უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით. თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.
9.3.ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან სისტემატურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები. თუ მიმწოდებელი, გაფრთხილების მიუხედავად, არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისთვის 30 დღით ადრე შეწყვეტის შესახებ შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე და დააკისროს მიმწოდებელს ვადაგადაცილებული მიწოდებისათვის 9.3 პუნქტით განსაზღვრული პირგასამტეხლო.
10.2. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე, მიმწოდებლისთვის შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წინასწარ გაგზავნის საფუძველზე:
ა) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
10.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
10.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადის დარღვევისთვისდაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
10.5. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.6. პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება ინსპექტირებისთვის დახარჯული დრო.
10.7. გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით (მიმდინარე და ასევე, უკვე შესრულებული ეტაპების მიხედვით) ინსპექტირების ჯგუფის მიერ თავდაპირველად განსაზღვრულ და შემსყიდველთან შეთანხმებულ ვადაზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქციები.
10.8. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული პირგასამტეხლოს ოდენობა არ შეიძლება აჭარბებდეს ხელშეკრულების ღირებულებას.
10.9. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
10.10. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს რომელიმე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს

სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
11.3. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ორი კვირით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
11.4. ხელშეკრულებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 12. კონფიდენციალობისა და პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დაცვა

12.1. ნებისმიერი ისეთი ინფორმაცია, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ცნობილი გახდა მხარეებისთვის და შესაძლოა წარმოადგენდეს ერთ-ერთ მხარესთან დაცულ კომერციულ ან სხვა სახის საიდუმლოებას ითვლება კონფიდენციალურად და არ ექვემდებარება მესამე მხარისათვის გადაცემას ან გამოქვეყნებას.
12.2. აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ასეთი პასუხისმგებლობა დადგება იმ შემთხვევაშიც, თუ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების დამრღვევი მხარე რომელიმე მხარის დაქირავებული პირია.
12.3. მხარეები თანხმდებიან, რომ დაიცავენ მოლაპარაკებების კონფიდენციალობას, მიმოწერებს და სხვა ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია წინამდებარე ხელშეკრულებასთან, და არ გადასცემენ მას სხვა პირს მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
12.4. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება დარღვეულად არ ჩაითვლება, თუ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება განპირობებულია კანონისმიერი ვალდებულების შესრულების აუცილებლობით, ან/და, როდესაც ეს აუცილებელია სახელშეკრულებო ვალდებულებების შესასრულებლად.
12.5. პერსონალური მონაცემების დაბლოკვის, წაშლის, განადგურების ან პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით შენახვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების piშემთხვევაში, შემსყიდველმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მიმწოდებელს აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს შემსყიდველის შეტყობინების დაუყოვნებლივ შესრულებას.
12.6. ამ ხელშეკრულების ფარგლებში პერსონალური მონაცემების დამუშავების შემთხვევაში, მიმწოდებელი პერსონალურ მონაცემთა დასაცავად მიიღებს შესაბამის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია მონიტორინგი გაუწიოს მიმწოდებლის მიერ მონაცემთა დამუშავებას.
12.7. ამ ხელშეკრულების ფარგლებში შემსყიდველის და მიმწოდებლის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაში, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთანავე, მხარეს ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს თანამშრომლის ინფორმირება, რათა მან დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

მუხლი 13. დავების გადაწყვეტა

13.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს.
13.3. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და მის საფუძველზე წარმოშობილ ყველა სახის დავა უნდა გადაწყდეს მხოლოდ საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, სხვა, ნებისმიერი ქვეყნის სასამართლოების გამორიცხვით.
13.4. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ და მის საფუძველზე წარმოშობილი, ნებისმიერი სახის ურთიერთობის, მათ შორის დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ქართული სამართალი.

მუხლი 14. ფორს-მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მხარეები არ აგებენ პასუხს, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
14.2 „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, პანდემიით (გარდა COVID19), კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში წარმოადგინოს ფორსმაჟორული გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.
14.4. ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორსმაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
14.5. ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილი არიან, გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

მუხლი 15. დასკვნითი დებულებები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი. დაუშვებელია ხელშეკრულებაში მიმწოდებლის ჩანაცვლება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა (ორგანიზაციის შერწყმა, გაყოფა და სხვ.).
15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენებზე და მასზე შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა მხარეთა მიერ. ასევე, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მუხლი 16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შემსყიდველი:
სსიპ - სახელმწიფო სერვისების
განვითარების სააგენტო
ქ. თბილისი, ზ. გამსახურდიას სანაპიროს ქ. №1
ს/კ: 202307404
სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის კოდი: TRESGE22
ა/ა: GE24NB0330100200165022

მიმწოდებელი:
სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო
მისამართი: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის 22
ს/კ 204598337
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი 709797499

ციფრული მმართველობის სააგენტო

Davit Nadirashvili
2023.02.20 13:23:02 +04'00'

გიორგი ჯიჯეიშვილი

სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) დირექტორი

დავით ნადირაშვილი

სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს თავმჯდომარე

N1 დანართი

N	ქალაქი	მისამართი	მომსახურება	ძირითადი ქსელური ჩართვის სიჩქარე	ძირითადი ქსელური ჩართვის ფასი თვეში (ლარი)	სარეზერვო ქსელური ჩართვის სიჩქარე	სარეზერვო ქსელური ჩართვის ფასი თვეში (ლარი)
1	თბილისი ცენტრალური დატაცენტრი	წერეთელის გამზ. N67ა	IP კავშირი	100 მბ/წმ	200		
2	თბილისი სარეზერვო დატაცენტრი	მეტრო ახმეტელის მიმდებარე ტერიტორია	IP კავშირი			60 მბ/წმ	1000
3	თბილისის იუსტიციის სახლი	სანაპიროს ქ N.2	IP კავშირი	50 მბ/მწ	100	50 მბ/მწ	100
4	ქუთაისი იუსტიციის სახლი	ირ. აბაშიძის N20.	IP კავშირი	20 მბ/წმ	300	20 მბ/წმ	300
5	ბათუმი იუსტიციის სახლი	შერიფ ხიმშიაშვილის N7	IP კავშირი	30 მბ/წმ	450	20 მბ/წმ	300
6	ზუგდიდი იუსტიციის სახლი	თეატრის ქუჩა N2	IP კავშირი	20 მბ/წმ	300	10 მბ/წმ	200
7	მარნეული იუსტიციის სახლი	რუსთაველის ქ. N1	IP კავშირი	20 მბ/წმ	300	10 მბ/წმ	200
8	რუსთავი იუსტიციის სახლი	ხალხათა მეგობრობის გამზირი, N29	IP კავშირი	10 მბ/წმ	200	5 მბ/წმ	150
9	თელავი იუსტიციის სახლი	ერეკლე II-ის გამზირი N3	IP კავშირი	10 მბ/წმ	200	5 მბ/წმ	100
10	გურჯაანი იუსტიციის სახლი	თამარ მეფის ქ.N15ა	IP კავშირი	10 მბ/წმ	200	5 მბ/წმ	150
11	გორი იუსტიციის სახლი	დ.გურამიშვილის ქ. N5	IP კავშირი	20 მბ/წმ	300	10 მბ/წმ	200
12	ოზურგეთი იუსტიციის სახლი	ი. პეტრიწის ქ. N9	IP კავშირი	10 მბ/წმ	200	4 მბ/წმ	100
13	ახალციხე იუსტიციის სახლი	თამარაშვილის ქუჩა, N3	IP კავშირი	10 მბ/წმ	200	5 მბ/წმ	150
14	ყვარელი იუსტიციის სახლი	კუდოგირის ქ. N3	IP კავშირი	5 მბ/წმ	150	3 მბ/წმ	100
15	მესტია იუსტიციის სახლი	ი.გაბლიანის ქუჩა N1	IP კავშირი	4 მბ/წმ	150	4 მბ/წმ	150
16	თიანეთი, იუსტიციის სახლი	დაბა თიანეთი, სანიკიძის ქუჩა N3	IP კავშირი	5 მბ/წმ	150	3 მბ/წმ	100

17	ლაგოდეხი იუსტიციის სახლი	ზაქათლის ქუჩა N25 ბ	IP კავშირი	5 მბ/წმ	150	3 მბ/წმ	100
18	ყაზბეგი იუსტიციის სახლი	ალ. ყაზბეგის ქუჩა N49	IP კავშირი	5 მბ/წმ	150	3 მბ/წმ	100
19	ბორჯომი, იუსტიციის სახლი	ერეკლეს ქ. N2	IP კავშირი	5 მბ/წმ	150	3 მბ/წმ	100
20	ფოთის იუსტიციის სახლი	რუსთაველის რკალი N26	IP კავშირი	5 მბ/წმ	150	4 მბ/წმ	100
21	ონი, იუსტიციის სახლი	ვახტანგ - VI ქ. N10	IP კავშირი	5 მბ/წმ	150	2 მბ/წმ	100
22	ახალქალაქი, იუსტიციის სახლი	თავისუფლების N93	IP კავშირი	8 მბ/წმ	180	4 მბ/წმ	100
23	მარტვილი, იუსტიციის სახლი	ქალაქი მარტვილი კონსტანტინე გამსახურდიას ქ. N2	IP კავშირი	10 მბ/წმ	200	5 მბ/წმ	150
24	სენაკი იუსტიციის სახლი	ქ. სენაკი, ა.ელიავას ქუჩა N23	IP კავშირი	5 მბ/წმ	180	5 მბ/წმ	150
25	ხონი, იუსტიციის სახლი	მოსე ხონელის ქ. N40	IP კავშირი	5 მბ/წმ	150	5 მბ/წმ	150
26	ბოლნისი, იუსტიციის სახლი	სულხან-საბა ორბელიანის ქ N111ა	IP კავშირი	10 მბ/წმ	200	5 მბ/წმ	150
27	ქარელი, იუსტიციის სახლი	ახალგაზრდობის ქ. N7	IP კავშირი	8 მბ/წმ	180	5 მბ/წმ	150
28	გარდაბანი, იუსტიციის სახლი	დ. აღმაშენებლის N83	IP კავშირი	8 მბ/წმ	180	5 მბ/წმ	150
29	წყალტუბო, იუსტიციის სახლი	შ. რუსთაველის N25	IP კავშირი	8 მბ/წმ	180	5 მბ/წმ	150
30	თეთრიწყაროს იუსტიციის სახლი	დიდგორის ქუჩა N8	IP კავშირი	2 მბ/წმ	100		
31	ბაღდათის იუსტიციის სახლი	კახიანის 84	IP კავშირი	2 მბ/წმ	100		

32	წნორის იუსტიციის სახლი	იროდიონ ევდოშვილის 26	IP კავშირი	2 მბ/წმ	100		
33	ლესიჭინეს იუსტიციის სახლი	ლესიჭინე 1-ლი ქუჩა N4	IP კავშირი	2 მბ/წმ	100		
34	მუხრანის იუსტიციის სახლი	მუხრანი, მე-12 ქუჩა N 124 ბ	IP კავშირი	2 მბ/წმ	100		
35	კასპის იუსტიციის სახლი	კასპი სტალინის 124	IP კავშირი	2 მბ/წმ	100		
36	ხარაგაულის იუსტიციის სახლი	სოლომონ მეფის ქუჩა	IP კავშირი	2 მბ/წმ	100		

N2 დანართი

მომსახურების პროცედურა

მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის გაწეული მომსახურების ფარგლებში ნებისმიერი სახის ინციდენტის (შემდგომ-ინციდენტი) წარმოშობის შემთხვევაში, შემსყიდველი ელექტრონული ფოსტის მისამართიდან - servicedesk@sda.gov.ge (შემდგომ - ელ. ფოსტა) უგზავნის წარმოშობილი ინციდენტის შესახებ ინფორმაციას შემდეგ მისამართზე noc@justice.gov.ge, პასუხად, მიმწოდებლის წარმომადგენელი შემსყიდველს უგზავნის ინფორმაციას ინციდენტის სტატუსის შესახებ შემდეგ მისამართზე: servicedesk@sda.gov.ge.

ცხრილი:

საათები	**საპასუხო ქმედების დრო**	**ინციდენტის ან ხარვეზის აღმოფხვრის მაქსიმალური დრო**	**მხარდაჭერის დრო**
სამუშაო საათები	1 საათი ან ნაკლები	არაუმეტეს 3 საათი	24 x 7
არასამუშაო საათები	2 საათი ან ნაკლები	არაუმეტეს 5 საათი	24 x 7

მიმწოდებლის მიერ გამოყოფილ ელექტრონულ ფოსტაზე ინციდენტის ან ხარვეზის აღმოფხვრის დრო ფიქსირდება ელექტრონული ფოსტის ან მონიტორინგის სისტემის მონაცემების საშუალებით.

თუ ინციდენტის აღმოსაფხვრელად საჭიროა საკომუნიკაციო აპარატურის ცვლილება ინციდენტის მოგვარების მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს. გამონაკლისს წარმოადგენენ ქალაქ თბილისში არსებული ობიექტები, ამ შემთხვევაში მაქსიმალური ვადა წარმოადგენს 5 საათს.

„სამუშაო საათებად" განისაზღვრება დღეები - კვირაში შვიდი დღე, 09:00 – 18:00 საათები საქართველოს დროით.

მიმწოდებელი პასუხისმგებელია უზრუნველყოს სერვისის ხელმისაწვდომობა დანართში შემავალი თითოეული ობიექტებისათვის კალენდარული თვის 98%, აღნიშნულ დროის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო საათები. არასამუშაო საათებში კი კალენდარული თვის განმავლობაში სერვისის ხელმისაწვდომობა არ უნდა იყოს 94 %-ზე ნაკლები.

ინციდენტის შემთხვევაში ხელმისაწვდომობის შეფერხების დრო ითვლება შემდეგი პრინციპით:

მიმწოდებლის ელ.ფოსტაზე შემსყიდველის წარმომადგენლების მიერ ხორციელდება ინციდენტის დარეგისტრირება, ინციდენტის მოგვარების შემდეგ მიმწოდებელი აგზავნის შეტყობინებას შემსყიდველის ელ.ფოსტის მისამართზე, რის შემდეგაც შემსყიდველის ტექნიკოსის მიერ ხორციელდება ინციდენტის მოგვარების დადასტურება.

ხელმისაწვდომობის შეფერხების დრო ითვლება შემდეგი პრინციპით:

მიმწოდებლის ელ.ფოსტაზე ინციდენტის რეგისტრაციის დროს, უნდა გამოვაკლოთ ინციდენტის დასრულების დრო (მიმწოდებლის მიერ მოგვარების შესახებ შეტყობინების გამოგზავნის დრო), დარჩენილი სხვაობა წარმოადგენს ხელმისაწვდომობის შეფერხების დროს.

ინციდენტის დათვლისას სადავო შემთხვევების წარმოშობისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მიმწოდებლის საკომუნიკაციო სერვისის მონიტორინგის სისტემის მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

20 თებერვალი, 2023 წელი

ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს შორის ქსელური ურთიერთჩართვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით დასადები 02/01/23-64 ხელშეკრულების ფარგლებში, ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს
ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) დირექტორი გიორგი ჯიჯეიშვილი